პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 20 (1656) ○ სამშაბათი, 14 თებერვალი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოსმოსო ცნობა

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1961 წლის 12 თებერვალს საბჭოთა კავშირში სრულყოფილი მრავალსაფეხურიანი რაკეტით ორბიტაზე გაყვანილ იქნა დედამიწის მძიმე ხელოვნური თანამგზავრი.

იმავე დღეს ამ თანამგზავრიდან გაფრინდა მართული კოსმოსური რაკეტა, რომელმაც ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური გაიყვანა პლანეტა ვენერის ტრაექტორიაზე.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური პლანეტა ვენერის რაიონს მიაღწევს 1961 წლის შუა მაისს.

ამ გაშვების ძირითადი ამოცანებია შეამოწმონ საპლანეტათშორისო ტრასაზე კოსმოსური ობიექტის გაყვანის მეთოდები, შეამოწმონ ზეშორი რადიოკავშირი და კოსმოსური სადგურის მართვა, დააზუსტონ მზის სისტემის მასშტაბი და განახორციელონ მთელი რიგი ფიზიკური კვლევა კოსმოსში.

აპარატურა, რომელიც საპლანეტათშორისო სადგურზე დგას, ნორმალურად მუშაობს. ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის წონა 643,5 კილოგრამს შეადგენს.

რადიოგადაცემა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან წარმოებს 922,8 მეგაჰერცის სიხშირით დედამიწიდან მიცემული კომანდებით.

ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურს მიაქვს ალამი, რომელზეც გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ფრენაზე დაკვირვებას ახორციელებს სპეციალური საზომი ცენტრი.

მიღებული ცნობებით ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური მოძრაობს ორბიტით, რომელიც უახლოვდება ნავარაუდევს.

1961 წლის 12 თებერვალს დღის 12 საათზე მოსკოვის დროით სადგური იყო დედამიწის ზედაპირიდან 126 ათას 300 კილომეტრ მანძილზე დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია აღმოსავლეთ გრძედის 86 გრადუსი და 40 მინუტი და ჩრდილოეთ განედის 6 გრადუსი და 04 მინუტი.

პლანეტა ვენერაზე კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვება კვალავს პირველი საპლანეტათშორისო ტრასას მზის სისტემის პლანეტებისაკენ.





ახლოვდება საფეხბურთო სეზონი. „ა“ და „ბ“ კლასის გუნდები ინტენსიურ წვრთნას შეუდგნენ. მომავალ ზაფხულ ადგილი ექნება საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი, რომლის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა წვრთნა და საკონტროლო მატჩები ჩაატაროს თბილისში. ნაკრები უკვე ჩამოვიდა თბილისში და დიდმის საწვრთნელ ბაზაში შეუდგა ვარჯიშს.

სურათებზე: ბურთით ვარჯიშობენ ფეხბურთელები დარბიან მოედნის გარშემო. ქვევით — ნაკრების წევრები ვ. ლობანოვსკი, ს. მეტრეველი, ი. ნეტო და ლ. იაშინი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩემპიონატის დახურვა

XXVIII ჩემპიონატის დასკვნითმა ტურმა გამოავლინა ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი — ტ. პეტროსიანი და მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის სამი მონაწილე — ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი, ე. გელერი. მაგრამ მეოთხე პრეტენდენტის ვინაობა დამოკიდებული იყო სპასკი-შტეინის პარტიის შედეგზე. ეს პარტია ტურის დღეს არ დამთავრებულა.

უკრაინის ჩემპიონმა ამ პარტიის დამთავრებისას იშვიათი სიზუსტით გაითამაშა რთული დაბოლოება და დაამარცხა სპასკი. ამით შტეინმა მოიპოვა საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება და პირველი საგროსმაისტერო ბალი.

დამთავრდა სხვა გადადებული პარტიებიც. სატურნირო ცხრილი საბოლოოდ ასე გამოიყურება: ტ. პეტროსიანი — 13,5 ქულა, ვ. კორჩნოი — 13 ქულა, ე. გელერი და ლ. შტეინი — 12 ქულა თითეულს, ბ. სპასკი და ვ. სმისლოვი — 11 ქულა თვითეულს, ი. ავერბახი და ლ. პოლუგაევსკი — 10,5 ქულა თვითეულს, მ. ტალიმანოვი და ვ. სიმაგინი — 10 ქულა თვითეულს, ს. ფურმანი — 9,5 ქულა, ი. ბოლესლავსკი და დ. ბრონშტეინი — 9 ქულა თვითეულს, ვ. გუფელდი — 8 ქულა, ა. ლუტიკოვი და ვ. ჩერეპკოვი — 7,5 ქულა თვითეულს, ვ. ტარასოვი — 7 ქულა, გ. ბორისენკო და ა. ხასინი — 6,5 ქულა თვითეულს, ა. ბანიკი — 6 ქულა.

11 თებერვალს მოეწყო XXVIII საკავშირო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. ტურნირის მთავარი მსაჯის ვ. გოგლიძის საანგარიშო მოხსენების შემდეგ გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები.

გაზეთ „იზვესტიას“ ჯილდო „ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის“ მიენიჭა გროსმაისტერ ი. ავერბახს ოსტატ ს. ფურმანთან მოგებულ პარტიაში. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ჯილდო ბოლო ხეთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის გადაეცა ვ. კორჩნოის, რომელმაც 4,5 ქულა მოაგროვა.

„ტრეილი“ ვერ იგებს მატჩს

კანადის ჰოკეისტთა გუნდის — „ტრეილ სმოუკ იტერსის“ დევიზი გამოხატულია ამავე გუნდის ტრადიციულ ჰიმნში, რომელშიც არის სიტყვები: „ჩვენ ჩვენი ჩოგნებით დავიპყრობთ მთელ მსოფლიოს“. ამ ჰიმნის გარდა კანადელები საბჭოთა ჰოკეისტებთან სტუმრად ჩამოვიდნენ არც თუ კარგი რეპუტაციით, რომელიც მათ ევროპის ტურნეს შედეგად შემორჩათ. კვრძოდ, კანადინავიის გაზეთებმა მათ გუნდს უწოდეს „უხეშთა ბრბო“.

მიუხედავად ასეთი წინამძღვრებისა, „ტრეილმა“ პირველ მატჩში მოსკოვის „კრილია სოვეტოვთან“ ვერ მოიპოვა უპირატესობა, თუმცა, როგორც პრესა აღნიშნავს, ამ შეხვედრაში ადგილი არ ჰქონია უხეშობას. კანადელები, უბრალოდ, ოსტატურად ფლობენ ძალისმიერ ფლეთებს და იყენებენ მათ წესებთან სრული შესატყვისობით. შეხვედრის დასაწყისში სტუმრებმა მაღალი იერიში მიიტანეს მოსკოველთა კარზე და მე-9 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. ეს მინიმალური უპირატესობა უცვლელი დარჩა პირველი პერიოდის ბოლომდე. მეორე პერიოდში კანადელებმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას — 2:0. ამის შემდეგ სრული ძალით ამოქმედნენ საბჭოთა სპორტსმენებიც და ორი წუთის შემდეგ ანგარიში გახდა 1:2. შემდეგ საბჭოთა გუნდის თავდამსხმელმა ლ. ხალაიჩევმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2. მესამე პერიოდში მოწინააღმდეგეებმა თითო-თითო შაიბა გაიტანეს ერთმანეთის კარში და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები კუბაზე

კუბაზე თავიანთი საჩვენებელი გამოსვლები დაამთავრეს უძლიერესმა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა. დასკვნით გამოსვლას ჰავანაში ესწრებოდა კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩი ს. კუდრიავცევი.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს — ლ. ლატინინას, პ. ასტახოვას, თ. ლიუხინას, მ. ნიკოლაევას, ბ. შახლინს, ი. ტიტოვს, ა. ახარიასა და ვ. კარდემელიდის ფ. კასტრომ პირადად გადაუხადა მადლობა მათი შესანიშნავი ოსტატობის დემონსტრაციისათვის.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა ტრანსლირებული იქნა ტელევიზიით. პრესამ ფართოდ აღნიშნა მეგობართა ეს დაუვიწყარი ვიზიტი.

ნოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

აკრობატიკაში ვ. ჭვართავას, ა. არიანს, ა. ვერჩენკოს (სამივე ბათუმიდან, „სპარტაკი“), გ. დავიდოვს, ი. ლარიონოვს, ვ. ფესენკოს, გ. მარგიშვილს, გ. მინკოვს (ყველა თბილისიდან, „ბურევესტნიკი“).

ნიჩბოსნობაში კ. ალანიას, მ. ლომთათიძეს, ა. ჩუპრუნს (სამივე ბათუმიდან, „ვანთიადი“).

ხუთჭიდში ზ. გვასალიას (თბილისი, „დინამო“).

ჭადრაკში ა. ბლაგიძეს (თბილისი, „ლოკომოტივი“), მ. ტოგონიძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

ალპინიზმში ო. ბერაძეს, ს. გუგავას, დ. დანგაძეს, ა. ძიძიგურს (ყველა თბილისიდან, „ბურევესტნიკი“).

ტურიზმში ა. წიქრიძეს (სოხუმი, „განთიადი“).

* * *

რესპუბლიკის სპორტკავშირმა კალათბურთში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ტ. ჯაფარიძეს (წულუკიძე).

28 თებერვალს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კლუბში ჩატარდება საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს VII

პლენუმი

დასაწყისი 12 საათზე.



ავიღოთ ეროვნული წიგნის თაროებიდან სპორტული ლიტერატურით!

გროშურა განვლილ დღეებზე

ამას წინათ საქართველოს სხრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა ა. ცამციშვილის ბროშურა „ფეხბურთი საქართველოში". ავტორი საქართველოში ფეხბურთის დამკვიდრებასა და განვითარებას განიხილავს სამ ეტაპად. ესაა: 1894 წლიდან 1926 წლამდე ჩვენში ფეხბურთის ჩასახვისა და განვითარების პირველი ეტაპი; მეორე ეტაპი — 1926-1936 წლებში დიდი ფეხბურთისათვის ნიადაგის მომზადების ეტაპი და თანამედროვე ეტაპი, როცა ქართული ფეხბურთი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გავიდა და შესანიშნავი წარმატებებიც მოიპოვა.

ავტორი თავის ბროშურაში ეხება მხოლოდ პირველ ეტაპს — საქართველოში სპორტის ამ სახეობის პირველ ნაბიჯებს. სხვადასხვა დოკუმენტური და ბეჭდვითი მასალების მოშველიებით ა. ცამციშვილი მიმოიხილავს ისტორიულ მონაკვეთს 1894 წლიდან, როცა ბათუმში ადგილობრივ მკვიდრთა შორის გამართულ ლელობურთში ჩაერივნენ ინგლისელი მეზღვაურები და ფეხბურთის ელემენტების გამოყენებით პირველად დაინტერესეს მახპინძლები მათთვის ამ ახალი სპორტული სახეობით. შემდეგ ავტორი ეხება ფეხბურთის გავრცელებას თბილისში 1906 წლიდან, როცა საზოგადოება „სოკოლმა" ველოტრეკზე ფეხბურთელთა არაოფიციალური გუნდი ჩამოაყალიბა, ხოლო 1907 წელს ხელისუფლებამ ოფიციალურად ცნო და იურიდიულად გააფორმა პირველი გუნდი „კომეტა".

ამას გარდა ბროშურაში მოცემულია საინტერესო ცნობები ფეხბურთის ჩასახვის შესახებ ქუთაისში, ფოთში, აფხაზეთში, ზუგდიდში, კახეთში, გორში, ბორჩალოში და ა. შ.

„ნაკადულის" მოწოდება დროულია

დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენს გაზეთში გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორის, პოეტ ხუტა ბერულავას მოწოდება სპორტის ვეტერანებისა და სპორტსმენებისადმი, მოუმზადონ გამომცემლობას საინტერესო, მიმზიდველი წიგნები. რასაკვირველია, ეს მოწოდება ააღებინებს ხელში კალამს სპორტულ ბრძოლებში ნაცად ვეტერანებს, გამოცდილ სპორტსმენებს, რათა მათ გაუზიარონ თავიანთი ცოდნა ახალბედებს.

მისასალმებელია გამომცემლობის მიერ „გულშემატკივრის თანამგზავრის" სერიის გამოცემა. უკანასკნელმა № 2 ბროშურამ გაგვაცნო ქართველი მოჭადრაკეები. ეს კარგია, მაგრამ უფრო კარგი იქნება, რომ გამომცემლობა ასეთ ნაბიჯს გადადგამდეს მეთოდური ლიტერატურის დარგშიც.

გ. ჭკადუა

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 20 (1656)

✦

სურათებზე აღბეჭდილია ამ გვერდში რეცენზირებული წიგნების გარეკანი.

✦

მწერლისა და მოგზაურის თვალით

ლევან გოთუას თავისი მოგზაურობათა წიგნისათვის საინტერესო სათაური მიუცია — „მგზავრული კრიალოსანი". ეს თავისთავად მეტაფორული თქმაა და წიგნის წაკითხვა ბუნებრივად ხსნის ერთი შეხედვით ამ უცნაურ სათაურს; წიგნის მთავარი გმირი თვითონ ავტორია და იგი თითქოს დამარცვლით, ნება-ნება გვიყვება დაუვიწყარ დღეებზე. ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ლევან გოთუას ისტორიულ რომანს „გმირთა ვარამსა" და შესანიშნავ მოთხრობებს. მაგრამ შესაძლოა, მან არ იცოდეს, რომ საყვარელ მწერალს აქვს კიდევ ერთი დიდი გატაცება. იგი დაუღალავი მოგზაური და ცნობილი მთამსვლელია, ლევან გოთუას, როგორც მთამსვლელისა და მოგზაურის, მიზნები შორს სცილდება მხოლოდ „წმინდა" სპორტულ ინტერესებს. იგი ყველგან და ყოველთვის მწერლისა და მოგზაურის, მთამსვლელისა და მკვლევარის თვალით იჭრება ბუნების შუაგულში. მიუხედავად იმისა, — წერს იგი ერთ ადგილას, — რომ საქართველო ძველთაძველი ქვეყანაა, ან იქნებ სწორედ ამიტომ, აქ უამრავი რამ არის საძიებელი, ხელახლად „აღმოსაჩენი" და საერთოდ პირველსავალი საოცრებით აღსავსე ამ მხარეში, მკვლევარისათვის და მოგზაურისათვის თითქმის ყოველ ხევში, ყოველ კლდეზე თუ ქედზე მოიპოვება ძველი, ჯერაც უკვლევი ძეგლი, მიუვალი ხელოვნური თუ ბუნებრივი გამოქვაბული, დაუპყრობელი და შეუსწავლელი მწვერვალი თუ ყინვარი. ავტორს ბევრი უვლია კალმით და წერაყინით ხელში, უმოგზაურია მსუბუქი ნავითა და სანადირო თოფით, უგზო-უკვლოთ უხეტიალია ჩანთისა და საძილე ტომრის ამარა, საკუთარი თვალითა და ტერფით მოუსინჯავს იდუმალებით აღსავსე „მიჯაჭვული ამირანის" სამყარო. წინამდებარე წიგნი შეიცავს ამ მოგზაურობათა შორის შერჩეულ უჩვეულო შემთხვევებს, დღიურებს, ჩანახატებს, ნაფიქრს, ნაგრძნობსა და ნახაზს.

წიგნის პირველ თავში მოთხრობილია მეტად მიმზიდველ მოგზაურობაზე. ეს არის იმ დროისათვის ჩვენში უჩვეულო ტურისტული ლაშქრობის ამბავი: მსუბუქი ნავებით ალაზანზე მტკვრის შესართავამდე. ავტორი, რომელიც ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ლაშქრობისა, გატაცებით გვიამბობს მოლაშქრეთა თავგადასავალს და მკითხველიც დიდი ინტერესით მიყვება ალაზნის გაუვალ და უდაბურ ჭალებს, უკვე ამ პირველივე მოთხრობიდან კარგად ჩანს ის მთავარი ღირსებები, რაც წიგნს მხატვრული ნარკვევების სიძლიერეს ანიჭებს.

დიდი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტის გეოგრაფიას რომ გადახედოთ, იქ გვერდს ვერ იპოვით, რომ კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულებზე არ იყოს საუბარი. თვით ცხოვრებამ აიძულა ძველი ქართველი, რომ საიმედო თავშესაფარი გამოეკვეთა ისედაც მიუვალ მთებში. აქ ინახავდნენ ძველი საქართველოს მოჭირნახულენი ქვეყნის საგანძურს, კულტურის საუნჯეებს. დღეს ჩვენი სწავლულები, ისტორიკოსები თუ მთამსვლელები დიდი მონდომებით იკვლევენ ამ უძველეს სახიზრებს, მაგრამ ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენი რამ არის იდუმალებით მოცული. ლევან გოთუა ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთი დაუღალავი ენთუზიასტია. იმ თავში, რომელსაც ეწოდება „მიუვალ გამოქვაბულებში", იგი გვიამბობს მათი აღმოჩენა-შესწავლის ამბებს. გამოქვაბულები ხომ შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებია (ვარძია, უფლისციხე) და ჰკავე დროს, აქ სრულიად მოულოდნელი აღმოჩენები მოელის პირველამსვლელთ. წიგნის ავტორსაც განუცდია ამგვარ აღმოჩენათა დიდი სიხარული და მას გატაცებით უზიარებს მკითხველს. მაგალითად, უჯარმის მახლობლად ქობთავის გამოქვაბულებში ნაპოვნია ძველ ხელნაწერთა ნაშთები და ძვირფასი ტვიფრები; ქართლში, თრეხვის სახიზრებში — წარწერიანი ქვაჯვარი, რომელმაც საინტერესო ფურცელი გადაგვიშალა „ქართლის ცხოვრების" ისტორიკოსის ლეონტი მროველის ბნელით მოცული ბიოგრაფიიდან.

თუ წიგნის მეორე თავი, გამოქვაბულებს რომ ეხება, მეტწილად შემეცნებითი ხასიათისაა, მესამე თავში ავტორი წმინდა სპორტულ ბრძოლებზე გვესაუბრება. იგი მრგვალთხრობს მანამდე აუღებელ მწვერვალთა დაპყრობაზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთამსვლელების მატიანეში. ხევში მიუვალი შავანას აღება, ლაშქრობა ვაჟას სამშობლოში, ხევსურეთის მთიანეთის შესწავლა და ა. შ. მაგრამ ყველაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ის თავი, რომელსაც „თეთრი სავალი" ეწოდება.

1938 წელს ქართველმა მთასვლელებმა თავს იდვეს რთული მარშრუტის დაძლევა. მათ უნდა გადაელახათ უცნობი მასივი ფასის მთიდან წურუნგალამდე. მამაცთა ოთხეული: ალიოშა ჯაფარიძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, კოტე ჯავრიშვილი და ლევან გოთუა, გაემართა ცენტრალური კავკასიონის ამ პირქუშ მხარეში. გვიანი შემოდგომა იდგა და ტექნიკურ სიძნელეებთან ერთად უამინდობა მრისხანე ზღუდეებს უქმნიდა მწვერვალთა დამპყრობთ. წიგნში დღიურების სახითაა ეს ამბები გადმოცემული და ეს დიდ უშუალობას ანიჭებს თხრობას. ამასთან, დაწვრილებითაა გადმოცემული მთასვლური ტექნიკა, სიძნელეთა გადალახვის სხვადასხვაგვარი ილეთები, მაგრამ ეს ისე ოსტატურადაა ჩართული, რომ თხრობის დინამიურობა სრულიად არ იჩრდილება. ნარკვევის ამგვარი თვისება ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რადგან ჩვენ ხშირად ვხვდებით ისეთ წიგნებს, რომლებიც არაფერს ასწავლიან ახალგაზრდა სპორტსმენებს და მხოლოდ „ემოციების" ხარჯზე გადიან იოლად. ლევან გოთუა სიტყვის გამოცდილი ოსტატია და აქაც არ ღალატობს მას მხატვრული ალღო. იგი შესანიშნავად ძერწავს ლაშქრობის მონაწილეთა სახეებს, ხაზს უსვამს მათ „ინდივიდუალურ" თავისებურებებს და მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟების სიმაღლემდე აჰყავს. განსაკუთრებულად გამოიყურებიან ნარკვევებში და-ძმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, რომელთა სახეები ავტორს გულმოდგინედ დაუმუშავებია.

როცა ჩვენში ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა მთასვლური მოძრაობა, მისმა პიონერებმა მისაბაძი ტრადიცია დაამკვიდრეს. მწვერვალთა დამპყრობს მუხლთან ერთად კალამიც უნდა უჭირდეს. მთამსვლელებს ხომ მაყურებელი არა ჰყავთ. მხოლოდ კალმითაა შესაძლებელი ამ ხარვეზის ამოვსება. კარგად დაწერილი დღიური თუ ნარკვევი, არის ერთად-ერთი ყველაზე საიმედო საშუალება მთამსვლელსა და გულშემატკივარს შორის კონტაქტის დასამყარებლად. სწორედ ასეთმა წიგნებმა უნდა იკისრონ სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის შემდგომი პოპულარიზაცია. ეს კეთილშობილური მიზანი მსჭვალავს ლევან გოთუას წიგნს, რომლის დევიზადაც შესაძლოა თვით ავტორისავე სიტყვები წარუმძღვაროთ: „თუ ეს წიგნი ჩვენს ახალგაზრდა და არამარტო ახალგაზრდა მკითხველს სურვილს აღუძრავს და ბუნებისა თუ ისტორიის წიაღში დაკვირვებულ მოგზაურად გაიყვანს, ჩვენს მიერ დასახულ მიზანს მიღწეულად ჩავთვლით და სულიერ კმაყოფილებას ვიგრძნობთ".

სარგის ცაიშვილი

ავტორია ბელა რაიკი

ბუდაპეშტში გამომცემლობა „კორვინმა" რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოსცა წყალბურთის ცნობილი უნგრელი სპეციალისტის ბელა რაიკის საინტერესო წიგნი — „წყალბურთი".

უნგრეთის წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელის ბელა რაიკის ეს წიგნი პირველია სპეციალურ სპორტულ ლიტერატურაში, რომელიც როგორც ტაქტიკის, ასევე ტექნიკის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოდ აღწერს და აანალიზებს სპორტის ამ პოპულარულ სახეობას. მკითხველები ამ წიგნის მეშვეობით გაეცნობიან წყალბურთის ჩასახვასა და განვითარებას, ცურვის ტექნიკას, თამაშის სპეციფიკურ ილეთებს, ბურთის დამორჩილების ხერხებსა და კარში ტყორცნებს.

წიგნი ილუსტრირებულია კინოგრამებით, რომლებზეც აღბეჭდილია მსოფლიოს გამოჩენილი წყალბურთელები. დასასრულს ბელა რაიკი ახასიათებს მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ წყალბურთელებს. ავტორის აზრით, მსოფლიოში ყველაზე დიდი წყალბურთელებია: იუგოსლაველი ზდრავკო კოვაჩი, იტალიელი ჩეზარე სუბინი, ქართველი პეტრე მშვენიერაძე, უნგრელი დიორდ კარპატი და კვლავ იუგოსლაველი ზდრავკო ეკიჩი.

მშვენიერაძეზე ბელა რაიკი შემდეგს წერს: „პ. მშვენიერაძე საბჭოთა კავშირის ნაკრების ყველაზე საუკეთესო მოთამაშეა, იგი თანამედროვეების ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წყალბურთელი და მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელია. ფიზიკური მონაცემები, უსაზღვრო ძალა და ბურთის ფლობის ტექნიკა მას საშუალებას აძლევენ გვიჩვენოს ტექნიკის ისეთი შედევრები, რომლებიც ჟონგლიორსაც კი გაუჭირდება". შემდეგ გაანალიზებულია მშვენიერაძის მიერ ბურთის კარში ტყორცნის მანერები.

ბელა რაიკის უაღრესად საინტერესო წიგნს სიამოვნებით წაიკითხავენ სპორტის მოყვარულები.

გ. გაჩეჩილაძე

საქართველოს ათი საუკეთესო მოცურავე 1960 წლის შედეგების მიხედვით

ქალები

100 მეტრი თავისუფალი სტილით: რ. არკადიევა („დინამო“ თბილისი) — 1.08,7, ს. კალმიკოვა (სკა თბილისი) — 1.10,9, ს. მაკეევა („დინამო“, თბილისი) — 1,14,4, ვ. მელიხოვა („განთიადი“ ბათუმი) — 1.15,1, ე. ხაჩატურიანი („განთიადი“ ბათუმი) —1.15,4, ი. ამნიაშვილი („დინამო“ თბილისი) — 1.16,4, ლ. ბერძენიშვილი („დინამო“ თბილისი) — 1.16,5, ნ. ავეტისიანი („დინამო“ თბილისი) —1.16,9, ა. სუდარიკოვა („კოლმეურნე“ სოხუმი) — 1.17,0, ლ. მარგუნენკო („დინამო“ თბილისი) — 1.18,2,

400 მეტრი თავისუფალი სტილით: რ. არკადიევა — 5.24,4, ი. ამნიაშვილი — 5.53,3, ლ. ბერძენიშვილი — 5.59,5, ა. სუდარიკოვა — 6.06,0, ე. ხაჩატურიანი — 6.12,4, ს. კალმიკოვა —6.16,1, ლ. სმირნოვა — („დინამო“, თბილისი) — 6.17,3, ნ. ავეტისიანი — 6.19,1, ლ. მარგუნენკო — 6.24,4, ვ. დულენკო („სპარტაკი“ სოხუმი) — 6.27,0.

200 მეტრი ბრასით: ლ. კრილოვა („დინამო“ თბილისი) — 3.05,3, ს. ხაირულინა („განთიადი“ ბათუმი) — 3.14,2, ლ. კონონენკო („დინამო“ თბილისი) —3.15,2, ი. კულჩიცკაია („დინამო“ თბილისი) — 3.17,2, ე. ბაბენკო („დინამო“ თბილისი) — 3.19,5, ე. ტარაპანოვა („განთიადი“, ბათუმი) — 3.21,5, ვ. ლოგინოპულო („განთიადი“ ბათუმი) — 3.28,2, ნ. ხუციშვილი („დინამო“, სოხუმი) — 3.29,6, ე. კოჩეტკა („დინამო“ თბილისი) 3.29,7, ლ. ოქრუაშვილი („დინამო“ სოხუმი) — 3.30,0,

100 მეტრი ზურგზე: ე. შავდია („დინამო“ თბილისი) — 1.19,5, ს. კალმიკოვა — 1.20,1, ი. ჩუგუევსკაია („დინამო“ თბილისი) — 1.24,0, ე. ხაჩატურიანი — 1.29,2, ნ. გრომოვა („განთიადი“ ბათუმი) — 1.29,4, ვ. ტომილინა („დინამო“, თბილისი) — 1.30,1, თ. ქართველიშვილი („ბურევესტნიკი“ თბილისი) — 1.30,3, ე. მაკეევა („დინამო“, თბილისი) — 1.30,8, ა. გუძი („ბურევესტნიკი“, თბილისი)—1.31,3, ნ. შანიძე („დინამო“, თბილისი) — 1.32,8.

100 მეტრი ბატერფლაით: ი. ამნიაშვილი — 1.31,4, ე. ხაჩატურიანი — 1.33,2 ე. მაკეევა — 1.34,7, რ. კიზიევა („განთიადი“ ბათუმი) — 1.43,2, რ. პეტროსიანი („განთიადი“ სოხუმი)—1.43,2, ლ. ვინიკოვა („დინამო“ თბილისი) — 1.44,2, ლ. ზაქიგინა („განთიადი“ ბათუმი) — 1.47,5, ლ. ნაპუყებია (ბავშვთა სპორტ. სკოლა, სოხუმი) — 1.50,5, ჩ. ავეტისიანი („დინამო“ თბილისი) — 1.51,0, ნ. ხუციშვილი („დინამო“ თბილისი) — 1.52,0,

ვაჟები:

100 მეტრი თავისუფალი სტილით: ე. კობეცკოი (ბათუმი) — 58,4, ი. ბინიუკოვი („ბურევესტნიკი“ თბილისი) — 58,4, გ. კარბუკოვი (სკა, თბილისი) — 59,3, ი. გიორგობიანი („დინამო“ თბილისი) — 59,4, ა. სუდარიკოვი (ბათუმი) — 1.01,2, ე. ვაიტკევიჩი— („დინამო“ თბილისი) — 1.01,4, ე. პიროკოვი („განთიადი“, ბათუმი) — 1. 02,1, ლ. გიორგაძე („დინამო“, თბილისი) — 1,02,4, ა. მოსკალიოვი („განთიადი“, სოხუმი) — 1,02,7, ა. ფუნიკოვი („ბურევესტნიკი“, თბილისი) — 1,02,7.

400 მეტრი თავისუფალი სტილით: ბ. ნიკიტინი (სკა თბილისი) — 4.32,3, გ. კარბუკოვი —4.56,7, ა. სუდარიკოვი—4.57,3, ი. ბინიუკოვი — 4. 59,5, ვ. ზლობინი („დინამო“, სოხუმი) — 5.06,0, ლ. გიორგაძე—5.09,4, ე. კობეცკოი — 5.11,3, ვ. თოფურია („დინამო“, თბილისი) — 5.16,6, ე. პიროკოვი — 5.16,6, ვ. ბულანოვი („დინამო“, სოხუმი) — 5.21,0.

1500 მეტრი თავისუფალი სტილით: ბ. ნიკიტინი — 19.20,7, რ. მეშჩეროვი (სკა თბილისი) — 19.24,0, ვ. რომანოვი („დინამო“ თბილისი) — 19.54,6, ა. სუდარიკოვი — 20,12,6, ე. კობეცკოი — 21.24,5, ვ. ბულანოვი — 21. 42,3, ვ. თოფურია — 21.50,2, ვ. ზლობინი — 22,03,4, კ. შვარცმანი („დინამო“, სოხუმი) — 22.16,8, ვ. ჯანდუგაზოვი („დინამო“, თბილისი) — 22.37,5.

200 მეტრი ბრასით: ა. ანტონიანი („დინამო“, ბათუმი)—2.40,7, ი. ფუნიკოვი („სპარტაკი“, თბილისი)—2.42,7, რ. ემეცი („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — 2.49,4, ვ. ეუკოვი („დინამო“, თბილისი) — 2.50,3, ვ. მამჩინი („განთიადი“ ბათუმი) — 2.50,4, ბ. მეგედი („დინამო“, თბილისი) — 2.52,1, ვ. ჩისტოკოლენი („ბურევესტნიკი“, თბილისი) — 2.52,5, ა. ტუტუგაევი („ბურევესტნიკი“, თბილისი) — 2.52,6, ს. პოსტოლოვი („დინამო“, თბილისი) — 2.55,4, ნ. ნონიაშვილი („დინამო“, თბილისი) — 2,55,6.

200 მეტრი ბატერფლაით: ვ. სანაძე („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — 2.33,6, ლ. გიორგაძე — 2.37,1, ვ. ულენკო („შრომითი რეზერვები“, თბილისი) — 2.40,4, ვ. ჩერნიშევი („განთიადი“, ბათუმი) — 2.41,8, ს. ეუკოვი (სკა თბილისი) — 2.43,0 ვ. ანანოვი („შრომითი რეზერვები“, თბილისი)—2.53,3, ვ. ბელანოვი — 2.53,3, ლ. ვოზიკოვი („განთიადი“, ბათუმი) — 2.56,2, ა. ლისიკოვი („განთიადი“, ბათუმი) — 2.58,0, ვ. მესხი („განთიადი“, ბათუმი) — 2.58,5.

100 მეტრი ზურგზე: ბ. კამენსკი („დინამო“, თბილისი) — 1.07,2, ი. გორდიენკო („დინამო“, თბილისი) — 1.08,0, ე. ხიმჩიანი („დინამო“, თბილისი) — 1.10,3, ბ. ლეჟავა („დინამო“, თბილისი) — 1.10,4, რ. აფაქიძე („განთიადი“ სოხუმი) — 1.12,0, ვ. რიდლინსკი („განთიადი“, ბათუმი) — 1.12,3, ნ. კოგანი („დინამო“, თბილისი) — 1.12,7, ა. პისკარიევი (სკა თბილისი) — 1.13,1, ზ. შილაკაძე („დინამო“, თბილისი) — 1.13,7, ვ. ჩერნიშევი — 1.15,0.

ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

კიევის არმიელთა სპორტული კლუბის გუნდი და თბილისის „ბურევესტნიკი“ ერთმანეთთან შეხვედრამდე ძალზე „დაიჩაგრნენ“ უძლიერეს კოლექტიკებისაგან. „ა“ კლასის კალათბურთელთა გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზე მოექცნენ ისე, რომ ვერცერთმა მათგანმა ქულის აღება ვერ შეძლო.

შეხვედრა ნელ ტემპში დაიწყო. ანგარიში კიეველმა სპორტის ოსტატმა მანუკიანმა გახსნა, რომელსაც მხარში ამოუდგა რიკოვი. თანდათან ანგარიშმა იწყო ზრდა სტუმრების სასარგებლოდ. მე-7 წუთზე სადემონსტრაციო დაფამ აღნიშნა 14:4 კიეველთა სასარგებლოდ. მეათე წუთზე მასპინძლებმა გაზარდეს ტემპი. გათამაშდნენ ლომაძე და საკანდელიძე. ამ წყვილმა რიგრიგობით მეტად საჭირო ქულები შეძინა გუნდს და მე-14 წუთზე ანგარიში გათანაბრდა — 25:25. ამის შემდეგ მასპინძლებმა ტემპს უკლეს, რაც მოხერხებულად გამოიყენეს კიეველებმა. შორიდან ხშირი და შედეგიანი ტყორცნებით და ფარქვეშ ენერგიული თამაშით კვლავ დაწინაურდნენ 8 ქულით და ტაიმი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 36:28.

მეორე ტაიმი კიდევ უფრო მოდუნებულად დაიწყო „ბურევესტნიკმა“. მოედნის ბატონპატრონი გახდნენ არმიელები, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ რიკოვი და მანუკიანი და მეშვიდე წუთზე ანგარიში 49 ქულამდე გაზარდეს. ახლა უკვე გათამაშდა კაკაურიძე, რომლის ხშირი გასვლები ფარქვეშ შედეგიანი აღმოჩნდა და ქულათა განსხვავებაც საგრძნობლად შემცირდა. ტაიმის ბოლოს თბილისელებმა კვლავ მაღალ ტემპში დაიწყეს თამაში და კვლავ მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ დრო ამოიწურა და შეხვედრა დამთავრდა 73:64 კიევის არმიელთა სასარგებლოდ. „ბურევესტნიკმა“ ვერ აუღო ალღო მოწინააღმდეგეს და მისცა თავისუფალი თამაშის საშუალება, რითაც ისარგებლეს ამ დღეს განსაკუთრებით ძლიერად მოთამაშე მანუკიანმა და რიკოვმა, რომლებმაც თავის გუნდს შესაბამისად მისცეს 30 და 20 ქულა და გათამაშების ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

ა. ბარნოვი



როგორც ცნობილია, მოსკოვში დამთავრდა საკავშირო პირველობა წყალში ხტომაში. კოშკიდან ხტომაში მეორე საპატიო ადგილი დაიკავა თბილისელმა ბ. პოლულიახმა. ეს სურათი ჩვენმა მოსკოველმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. ტუტოვმა გამოგვიგზავნა. ამ ნახტომმა მოუტანა ბ. პოლულიახს მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი.

მატჩი გამოავლენს ჩემპიონს

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა დედაქალაქის 1961 წლის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის, მთელი შეჯიბრების მანძილზე ცხარე „დუელი“ ჩემპიონის სახელისათვის მიმდინარეობდა თბილისის ორგზის ჩემპიონების ქ. გოგიავასა და ლ. ნაპუყებიას შორის.

გარკვეულ მომენტამდე წინ იყო ქ. გოგიავა, შემდეგ დაწინაურდა ლ. ნაპუყებია. მაგრამ ფინიშის ზონარს ისინი ერთად შეეხენ — 12,5 ქულით გაიყვანეს I-II ადგილები. პირველობის დებულების მიხედვით გამარჯვებულებს შორის გაიმართება დამატებითი მატჩი (4 პარტია) ჩემპიონის გამოსავლინებლად.

მომდევნო ოთხი ადგილი დაიკავეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა მ. ნამორაძემ, ე. ხუბუამ, დ. ღლონტმა და ს. ივანოვამ, თუ ს. ივანოვას გააჩნია უძლიერეს მოჭადრაკეებთან თამაშის გარკვეული გამოცდილება, სამაგიეროდ მისი კოლეგები პირველად ცდიან თავს საქართველოს პირველობაში, სადაც შეხვდებიან ცნობილ ოსტატებს ნ. გაფრინდაშვილს, მ. ტოგონიძეს და სხვებს.

თბილისის პირველობამ ცხადყო, რომ დედაქალაქში იზრდება მოჭადრაკე ქალთა საიმედო ცვლა.

მოლითის საშუალო სკოლის მასწავლებლებს გ. ლაცაბიძეს და ა. კაკიაშვილს აინტერესებთ, თუ ვინ არის ცნობილი ფეხბურთის მარშის ავტორი, სად და როდის შესრულდა იგი პირველად და არის თუ არა ეს მარში მიღებული უცხოეთის ქვეყნებში?



ფეხბურთელთა მარშის ავტორია ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ბლანტერი.

ეს ოთხტაქტიანი მელოდია, რომელიც წუთნახევარს გრძელდება, პირველად შეასრულა 1947 წელს მოსკოვის რადიომ.

უცხოეთის ქვეყნებში მ. ბლანტერის „ფეხბურთის გამოსაძახებელი“ არ სრულდება.

რომ კვლავ არ გამეორდეს

გასულ წელს საქართველოს მესტენდურეთა საქმიანობაში სერიოზულ ხარვეზებს ჰქონდა ადგილი. არ ეწყობოდა ნაკრების რეგულარული წვრთნა, ორიოდე შეჯიბრება კი საკმარისი არ აღმოჩნდა გუნდის მომზადებისათვის, რის გამო რესპუბლიკის სპორტსმენებმა დაკარგეს წამყვანი პოზიციები და საკავშირო შეჯიბრებაზე 6-ე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ვფიქრობდით წარუმატებლობა გახდებოდა სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისა თვის ზრუნვის ნიშანი, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. გასული წლის ოქტომბრის შემდეგ ნაკრების იმ წევრთა ოსტატობის ზრდისათვის, რომლებიც რესპუბლიკის პერიფერიებში იმყოფებიან, ერთი ვარჯიშიც კი არ ჩატარებულა.

ყოველივე ამას სხვა მიზეზებიც აქვს. რესპუბლიკაში ამ სახეობის განვითარებისათვის მხოლოდ და მხოლოდ მონკავშირი ზრუნავს, რომელიც ხშირად განიცდის ინვენტარის ნაკლებობას. სხვა ორგანიზაციები — „დინამო“, „სპარტაკი“, „განთიადი“ არავითარ ყურადღებას არ უთმობენ სასტენდო სროლას და ცდილობენ სხვათა მიერ აღზრდილი თანრიგოსნების გადაბირება-მითვისებას. ეს განსაკუთრებით ითქმის „დინამოზე“, აფხაზეთის „დინამოს“ საბჭომ მონკავშირში აღზრდილი პირველთანრიგოსნები ა. და ნ. ცეკვავები თვითნებურად მიითვისა.

ქების ღირსია „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წამოწყება, რომელმაც აფხაზეთში გახსნა ორი სექცია, საჭიროა სხვა ორგანიზაციებმა მიბაძონ „კოლმეურნეს“, ხოლო ხელმძღვანელმა ორგანოებმა მეტი იზრუნონ რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარებისათვის, რათა გასული წლის წარუმატებლობანი საკავშირო სარბიელზე არ გამეორდეს.

ა. დარასელია,
სპორტის ოსტატი.

ᲚᲔᲚᲝ
მე-3 გვ. № 20 (1656)

სურათზე: „დინამოს“ სპორტდარბაზთან არსებული უფროსი და საშუალო ასაკის ადამიანების ფიზმომზადების წრე მეცადინეობისას. წრეს ხელმძღვანელობს ნ. როინიშვილი (მარცხნივ).

ფოტო გ. თარალაშვილისა.

ᲩᲕᲝᲗᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

„მეხიკო სიტის“ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მიმართოს ახალ ორიგინალურ ხერხს, რათა თუნდაც ნაწილობრივ მაინც დაეხმაროს თავის მოთამაშეებს საკუთარ მინდორზე გამარჯვებათა მოპოვებაში. საამისოდ მასპინძელთა გასახდელი ოთახი შეღებილ იქნა წითლად, რაც მათი აზრით აღმგზნებად მოქმედებს მოთამაშეებზე და საბრძოლო განწყობილებას იწვევს მათში. რაც შეეხება გასახდელ ოთახს სტუმართათვის, იგი შეღებეს ცისფრად, რომელიც დამაშვიდებლად მოქმედებს მოთამაშეებზე და ინერტულ მდგომარეობაში მოჰყავს ისინი.



ლაგოდეხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გაიმართა სასწავლებლის საიუბილეო სპარტაკიადა ფრენბურთსა და კალათბურთში.

ფრენბურთში ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ მეოთხეკურსელები, ხოლო ქალთა შორის მესამეკურსელები. კალათბურთში პირველობა დარჩათ მესამეკურსელ ვაჟებსა და ქალებს.

ი. ნადაშვილი

აბასთუმანში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით მოეწყო ჰოკეის სათამაშო მოედანი. „ბრძოლის ველი“ კეთილმოწყობილია, იგი განათებულია ელექტროშუქით, აქვს რადიო ქსელი.

ახალ მოედანზე ახალგაზრდები უუფლებიან ციგურებით სრიალსა და ჰოკეის თამაშს მწვრთნელის ზ. კონსტანტინოვის ხელმძღვანელობით.

ადიგენის რაიონის სპორტის მესვეურებს გადაწყვეტილი აქვთ მსგავსი მოედნების მოწყობით ხელი შეუწყონ ზამთრის სპორტულ სახეობათა განვითარებას.

ი. ზაზაშვილი

„შვეციის კატასტროფა არგენტინელთათვის აღარ გამეორდება. ჩვენ კარგად უნდა მოვემზადოთ ჩილისათვის. შემიძლია განვაცხადო, რომ „ქალღმერთი ნიკა“ არ დასტოვებს ჩვენს კონტინენტს, ახალი მსოფლიო ჩემპიონები შეიძლება მხოლოდ ბრაზილიელები ან, არგენტინელები იყვნენ!“.

რედაქტორი ი. უგულავა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ქ. კოლევი ეწინააღმდეგება ე. ბრენდეჯს

ამას წინათ ბულგარულმა სპორტულმა გაზეთმა „ნაროდენ სპორტმა“ გამოაქვეყნა ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ქ. კოლევის სტატია, რომელიც ეხება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ოლიმპიური თამაშების პროგრამის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ უკვე დადგა დრო შეიცვალოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურა, რადგან იგი ვეღარ პასუხობს საერთაშორისო სპორტული მოძრაობის გაზრდილ დონეს. სტატიის ავტორი სრულიად სამართლიანად მოითხოვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გაფართოებას, მის შემადგენლობაში მთელი რიგი საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტების შეყვანას. მას არანორმალურად მიაჩნია ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში არ არის საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი.

შემდეგ ქ. კოლევი სტატიაში გამოდის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის იმ მოსაზრების წინააღმდეგ, თითქოს მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე დაშვებული არ უნდა იქნენ ის სპორტსმენები, რომლებიც წინა თამაშებზე მოიპოვეს ოქროს მედლები. კოლევი ალაშქრებს, აგრეთვე თამაშების ზოგიერთ სახეობაში მონაწილეთა რიცხვისა და პროგრამის შემცირების წინააღმდეგ.

ᲝᲪᲕᲘᲠᲙᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲔᲑᲐ

გამოჩენილი ავსტრიელი ნახევარმცველი ე. ოცვირკი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად ითვლება, უკვე რამდენიმე წელია, რაც იტალიის „სამპდორიაში“ თამაშობს. ახალმა კლუბმა ოცვირკი გადაიყვანა თავდასხმაში, სადაც ჩინებულად დირიჟორობს თავისი პარტნიორების თამაშს.

ამჟამად ვენის კლუბი „აუსტრია“ მოლაპარაკებას აწარმოებს „სამპდორიასთან“ ოცვირკის სამშობლოში დაბრუნების შესახებ, მით უმეტეს, რომ თვით ფეხბურთელსაც არ სურს იტალიაში დარჩენა.

ᲞᲠᲐᲢᲘᲡᲚᲐᲕᲐ. უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ჩოგბურთელთა საერთაშორისო მატჩში ვაჟთა შორის გაიმარჯვეს უნგრელებმა — 5:1, მათივე უპირატესობით აღინიშნა ქალთა შეხვედრაც — 3:2.

ᲞᲚᲖᲔᲜᲘ. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად მყოფმა ბელგიის ჩოგბურთელებმა ანგარიშით 4:9, დამარცხება განიცადეს პლზენის ნაკრებთან.

ᲝᲡᲚᲝ. კანადის ჰოკეისტთა გუნდი „ტრეილს სმოკ იტრისი“, რომელიც ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატზე ტურნეს ატარებს ევროპაში. ამას წინათ იგი შეხვდა ნორვეგიის ნაკრებს და დამარცხა იგი 8:3. განსაკუთრებით კარგად ითამაშა მასპინძელთა მეკარემ ნიკარდმა, რომელმაც გუნდი იხსნა უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებისაგან.

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება 5–15 აპრილს პეკინში, როგორც ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი იტყობინება, მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 40 ქვეყანამ. მათ შორის ინგლისმა, უნგრეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, რუმინეთმა, საბჭოთა კავშირმა, იაპონიამ, შვეციამ, ბელგიამ, გდრ-მ, იუგოსლავიამ, თურქეთმა, გფრ-მ, ბრაზილიამ, კანადამ და სხვა ქვეყნებმა.

ᲓᲘ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝ „ᲠᲔᲐᲚᲨᲘ“ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ

ალფრედო დი სტეფანომ, რომელსაც „რეალთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა, გადაწყვიტა ამავე კლუბში დარჩეს და ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას 1963 წლამდე. იგი ცენტრფორვარდის პოსტზე თამაშობს და თავისი ასაკის მიუხედავად (დაბ. 1926 წ.) ითვლება ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელად. ნაკლებ მნიშვნელობის მატჩებში მას „რეალში“ ცვლიან სიმონსონი (შვეცია) და პეპილიო, ხოლო ნაკრებში — მისივე თანაკლუბელი მათეოსი.

ესოდენ ხანგრძლივი კარიერის მიუხედავად დი სტეფანო არასოდეს ყოფილა სერიოზულად ტრავმირებული. „რეალი“ არგენტინელ ფეხბურთელისათვის მეოთხე კლუბია. დი სტეფანო ჯერ თამაშობდა ცნობილ „რივერ პლატაში“ ანხელ ლაბრუნასა და ნესტორ როსისთან ერთად, აქედან გადავიდა კოლუმბიის „მილიონარიოსში“, ხოლო შემდეგ ევროპაში დამკვიდრდა. აქ, როგორც ცნობილია, დი სტეფანო ნაციონალიზირებულ იქნა ესპანეთში. ჯერ იგი „ბარსელონამ“ იყიდა, მაგრამ შემდეგ „რეალის“ პატრონმა ბარნაბეუმ შეძლო მისი დასაკუთრება.

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ

ეკვადორთან ორი შესარჩევი მატჩის იოლად მოგების შემდეგ, არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა სპინეტამ დაასახელა ის 24 მოთამაშე, რომელიც 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. შვეციაში მყოფი ფეხბურთელებიდან ახლანდელ გუნდში დარჩა მხოლოდ სამი—მარჯვენა გარემარი კორბატა, ცენტრფორვარდი მენანდერი და მარცხენა გარემარი ბოჯიო.

სპინეტი ეკამათება ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს სტაბილეს, რომელიც ბევრ რამეში არ ეთანხმება მას. არგენტინის რადიოკომენტატორთან საუბარში სპინეტიმ განაცხადა:

„შვეციაში ჩვენ ვიდებლად მოქმედებს მოთამაშეებზე და ინერტულ მდგომარეობაში მოჰყავს ისინი.

ᲓᲦᲔᲡ! Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲞᲝᲠᲢᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ
ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ“ (თბილისი) — „ᲙᲐᲚᲔᲕᲘ“ (ტალინი)
ქალები — დასაწყისი 19 საათზე.

18 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲬᲔᲓᲒᲔᲑᲐ ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ

ᲰᲚᲔᲜᲣᲛᲘ

დასაწყისი 18 საათზე.

15 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲞᲝᲠᲢᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ
ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲒᲣᲠᲗᲘ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — ᲐᲡᲐ (კიევი)
დასაწყისი 19 საათზე.

16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XXII ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

17 ᲛᲐᲠᲢᲘ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ Ш. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ

დასაწყისი 17 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

1 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00931